


რედაქცია

სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.
სეფლი-მეწერე, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. ვარკეთილში მცხოვრებთათვის ადრესი: Вл. Тиф. листъ, въ редакцію «Дროба»
«დროების» ფასი
ყოველის წლისა . . . 9 მან. სამის თვისა . . . 3 მან.
ქვის თვისა . . . 5 მან. ერთის თვისა . . . 1 მან.



გამოდის უოველ დღე ორშაბათს ბარდა.

შანი ბანსხადევისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მივიღებ ქართულს რუსულს და სხვა ენებზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდავლ წერილებს რედაქცია ვერ დაუბეჭდვს.
(აქვე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი)

27 სექტემბერი «დროების» რედაქციაში გადავიდა ახალს სადგურში, სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.

ტელეგრაფი

(«ჩრდილოეთის სააგენციოსი»)
5 ოქტომბერს.

პატივტოვნი. გუბნ მათ იმპერატორებით დიდებულებათ მემკვიდრე ცესარევიჩით და მთლად უავგვისტოესი სახლეულობითურთ ინებეს პეტერბურგში გატრინოში საცხოვრებლად გადასვლა.

ხვალ იმ ადგილას, სადაც 1-ს მარტს 1881 წელს კატასტროფა მოხდა, ჩაჰყრიან ტაძრის საძირკველს უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ადგილის სახელობაზე; დილის თერთმეტს საათზე უკვლავ ეკლესიებში ზარებს დარეკენ და ამ დროს უზანის საბორცხამ მიტროპოლიტი ლიტანიით წავა იქ, სადაც საძირკველი უნდა ჩაიყაროს; ამ ადგილს გარემომოჯარი შემოერტყემა; 12-ს საათზედ მოხდნება ხელმწიფე იმპერატორი და დაიწყება პარაკლისი, რომლის შემდეგაც ტაძრის საძირკველს ასურებენ იაზმით, იმპერატორს მხარტოვერთქროს მედალს იმპერატორი ალექსანდრე მეორის ვარდაცვალების სახსენებლად და აგრეთვე ოქრო და ვერცხლის მანეთებს, რომელნიც მოჭრილ იქმნენ მის 25 წლის მეფობის განმავლობაში; ხელმწიფე ჩაუშვებს მათ უჯრამში, რომელიც საძირკველის ბოძშია გამოჭრილი და პირველს აგურს ჯერ ის ჩასდებს საძირკველში, შემდეგ მემკვიდრე ცესარევიჩი და სხვა იმპერატორის გვარეულობის წევრნი; ამ ცერემონიაზე დაესწრებიან პირველი და მეორე ჩინის კარის-კაცნი, პირველი და მეორე კლასის მათი იმპერატორებითს ამალის დიდებულნი, ადგილობრივი აზნაურობის, ერობის, ქალაქის თვითმმართველობის და ვაჭრების წარმომადგენლები; იმ დღეს უკვლავ ეკლესიებში პანაშვიდს გადაიხდიან განსვენებული იმპერატორის შესანდობლად.

პეტერბურგის სამჯავრო პალატის პროკურორი აცხადებს, რომ ბეკერის მოკვლის გამო არამცთუ ჯერ არავინ მიუციათ სამარ-

თალში, არამედ თვით გამოძიებაც, რადგანაც მასალა რუთულია, ჯერ არ დაუსკვნათ; გაზეთის ცნობები, ვითომც დაზნაშავე გამოჩენილიყოს, ნამდვილი არ არის; სწოვადოდ საბუთების უდროოდ გამოაშვარება ავნებს გამოძიებას.
გაზეთები იუწყებიან: იმისგამომომ დასავლეთ რუსეთში სამჯავრო ნაწილში ცვლილებანი უნდა მოხდეს, პეტერბურგის სამჯავრო პალატის პროკურორს მურავიევს მიენდო ძველი სამჯავროების რევიზია ვილენის, გოვინის, გროდნენის, მინსკის, მოგილევის და ვიტებსკის გუბერნიებში.

იმ საშინელის უბედურების თაობაზედ, რომელიც ს. მარელს დასტყდომია თავსა თ. იასონ ლავითისძე სიციშვილი გვეყრს შემდეგს:

«ბევრს მკითხველს მოეხსენება ჩვენის სოფლის მარელის ვითარება, თუ მთელს შორის მაზრაში როგორ შესანიშნავი და დიდი სოფელია, როგორც მიწა-წყლით, ვგრეთვე მცხოვრებლების სიმრავლით. ამ სოფელში ვიქმნებით ოთხას-ორმოცდაათს კომლამდის თავადით და გლეხით; მაგრამ ამ გაკეთებულს და მდიდარს სოფელს სამშაბათს, 4-ს ოქტომბერს, დიდი უბედურება მოუვიდა. ღამის ოთხს საათზედ, შუა ღამში, ერთის გორელის მეწვრიმალის დუქნიდან გაჩნდა ნაფთის მოწყალეობით საშინელი ცეცხლი და ერთის საათის განმავლობაში მთელი უბანი ალმა დაფარა. ამ უბანში განსაკუთრებით ვბრავლებს შენობები იყო, ორსართულიანი ქვითკირისა და ხის სახლები და დუქნები არა ნაკლებსამოცის მეკომურისა; ყველა ეს შენობები ცეცხლმა ისე გადასწვა, რომ ზოგმა ცარიელი სულები-და ძლივს გაიტანეს; თუმცა ბევრს ეცადენ წყლით და მიწით გაქრობას, მაგრამ ვერაფერს ვაძლენ.

«ცეცხლის ნაპერწკლები გადაცივიდა გლეხ-კაცების სახლებსა და სათივებზედ, იქიდან საესე ბზით საბძლებზედ, ასე რომ ერთს მესამედს ამ სოფლისას აღმოსავლეთის ქარის თანა შემწეობათ მთლად ცეცხლი მოედო; აქაურების მწუხარება წარმოსადგენათაც ძნელია.

«ჩვენის სოფლის რკინის გზის სტაციის უფროსმა დიდი შემწეობა იხმარა; ცეცხლის საქრობ მაშინით ბერი დაგვისნა ცეცხლისაგან; ერთი ეკლესია და მის მახლობლად მცხოვრებნი თითქმის იმან გადაანარჩუნა, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ცუდის ხმარებისაგან მაშინა მალე მოშალეს. ეს მაშინა რომ არ მოშლილიყო ჩვე-

ნი სოფელი ასე არ აოხრდებოდა. მარეზე ხალხმაც დიდი შრომა მიიღო; მრავალი წერილი ძუძუს-მწოვარი ბავშვები ურიებისა დაიხსნეს ცეცხლისაგან, დანაშენი ცხოვრება, მრავალი წერილ-ფეხი, თხები და ცხენებიც კი დაიწვენ. ცეცხლმა შეიწირა აგრეთვე დიდ-ძალი ქირახული, ქერი და პური; ფარია დუქნებიდან ვერც ერთისა ვერ გამოასწრეს. საშინელი აღმოსავლეთის ქარი ამოვარდა, ხალხში მწუხარების ხმა მოიშალა: «ეი! აოხრებულა სოფელი-ვო!» როდესაც მზემ თავი ამოჰყო, წინა დღით აყვავებული სოფელი სამწუხარო სურათს წარმოადგენდა; ცეცხლისაგან აკლებული და აოხრებული მოსჩანდა, მაგრამ ცეცხლი ჯერედ კიდევ არ გამქარაიყო.

«ახლა არ იცის ხალხმა, რა მოიხერხოს ამ ზამთრის პირს. სამოც კომლს აღარ გააჩნია, არც საზღო, არც ბინა. მათ შორის ზოგი ქართველი გლეხია და ზოგი ებრაელი. მეორე დღითვე მოხდნა ჩვენი მაზრის უფროსი, თავადი ამილახვარი, რომელმაც დიდად მოიწადინა დანარჩენ მცხოვრებლების ცეცხლისაგან დახსნა.

«არ იქნება რომ შემდეგისათვისაც კიდევ არ მოველოდეთ ამ მოუწვეველს ბოროტს სტუმარსა, თუ ჩვენს სოფლებში არ აღიკრძალება ხის დუქნებში ნაფთის ბოჩკების შენახვა, შუაგულ სოფელში კალო-საბძლებს, სათივ-საჩალებს ახლო; მაგრამ ვინ არის პატრონი, მრჩეველი და დამრიგებელი! აქაო და ნაფთი გაიფლავა, ერთი ურია არ იყო, რომ ორ-ორი დიდრონი ბოჩკა ნაფთისა სახლში არა ჰქონიყო შენახული. ამისთანა მდგომარეობაში კარგია კიდევ ასე გადავჩინო!»

შინაური მრონია

ჩვენი თავად-აზნაურობა, როგორც შევიტყეთ, აპირობს, რომ მიქციოს ყურადღება ჩვენში სტუმრად მოსულის სახელმწიფო ქონებათა მინისტრისა სამეურნეო სასწავლებლების უქონლობაზედ, სახელმწიფო ტყეთა მცველების უკანონო მოქმედებაზე და ცუდ-უბრალოდ დაფიქრების ატეხაზედ მომიჯნავე მიწის მფლობელებთან და კიდევ იმაზედ, რაზედაც გუშინ ვრცლად მოვილაპარაკეთ. ე. ი. რუსეთში მიღებულ ტყის დაცვის წესების შემოღებაზედ ქავკასიაში.
«ტურგენიევის დასაფლავებაზედ თბილისის წარმომადგენელს თ. პ. ბებუთოვს ვერ დაუდგამს თბილისის

გვირგვინი მის საფლავზედ და თბილისის საბჭოს გულითადი სურვილი ვერ შეუსრულებია. თითონ პ. ბებუთოვი იძულებულია თბილისში მოვიდეს.

ბ. ანდრია ძაპანაძეს დიდი ხნის ძებნის შემდეგ მიუგნია ერთის მადნის—გლაუბერის მარილისათვის, რომელსაც ხმარობენ სოდას გასაკეთებლად და საპნისა და მინის ზავადებში. ეს მარილი თურმე აზამბუჯის სტანციიდან (თბილისის მაზრაში, ძახეთის გზაზედ) ექვს-შვიდს ვერსზე და საცა კი არის მიწაში, იქ მცენარეულობა ვეღარ ხეირობს. სიგძე ამ მარილის ადგილისა, ბ. ძაპანაძის სიტყვით, ერთ ვერსამდე, სიგანე ასოც საყენამდე. შუა ალაგას სიღრმე ნახევარ-არშინზედ მეტი არ არის თურმე, მაგრამ ნაპირებში უფრო ღრმად უნდა მოითხაროს, თუ კაცს მარილამდის მისვლა უნდა. ბ. ძაპანაძეს თხოვნა შეუტანია მთის საქმეთა დეპარტამენტში, რომ ეს ადგილი, როგორც სახელმწიფო, მას დაეთმოს.

ძახეთიდანა გვეყრენ, რომ წრევანდელს წელიწადს მამულის პატრონები ვერ დავემდურებითო. როცა დარი იყო საჭირო მკისა და თიბის დროს, მშენიერი მზე კაშკაშებდაო და ეხლო, როცა სართელოდ გამზადებულს ევნახებს დანამეა ექირებოდა, წვიმაც მოვიდაო. წრევანდელისთანა მსხმოიარე ევნახებს ძვირად შეესწრებიათ, —თითო ვაზს ზოგს ოც მტევანზედ მეტი აბიაო.

სენის რკინის გზამ ჩუღურეთისკენაც დაიწყო მუშაობა, მორონცოვის ძეგლიდან მოყოლებული, რიყის ქუჩაზედ სათივე მოედნამდე. ამ ხაზზედ ქალაქის რჩევამ დანიშნა ფასი სამი კაპეიკი.

ორშაბათს ქალაქის საბჭომ ქალაქის სასწავლებლების კომიტეტის წევრებად ამოარჩია: ბბ. იმბაილოვი, ლამბაროვი, მეანგულოვი, მ. ი. თამაშვი, ბ. მ. თამაშვი, მართანოვი და ჩოლაყაშვილი. ძანდიტებათ: თ. ბ. მ. თემანიშვილი, პონდურალოვი, სლივიცი და სუნდუკიანიცი.

რაჭიდან რამდენსამე ავაზაკობის ამბავსა გვეყრენ: «ამას წინაღ ს. წესში თავის საქმეზედ მიმავალი აზნაური, გვარად წერეთელი, მოუკლავთ წერეთელს, ასათიანს და ჯაფარიძეს წინაღვე მოსაზრებულის მოსაზრებით. ეს ბატონები თავიანთ მსხვერპლს დაედევნენ უკან და შემდეგ თოფით სასიკვდილო ჭრილობის მიცემისა, ხლმე-



ბით აჰკაფეს. მათს მტარვალობას იმ ზომამდე მიუღწევია, რომ სიკვდილის შემდეგაც რამოდენიმე ალაგას დაუტრიათ უსულო გვამი; ამბობენ თავიც მოსჭრესო. მეორე უფრო საცოდავი შემთხვევა მომხდარა ლენჩუშის მაზრაში, ს. ჭყვიშს, სექტემბრის მეორე ნახევარში: ერთს გლეხს, გვარად შურასაშვილს, მოუკლავს სულ უბრალო მიზეზის გამო თექვსმეტის წლის ყმაწვილი, გვარად აბულაძე-ხუთს ამ თვეს ხვანჭკარის იარმუკაზედ მომხდარა კიდევ მკვლელობა: იარს ძმას მოუკლავთ მ. ჯაფარიძე სიმთვრალეში. ძნელი ეს არისო, ამბობს კორესპონდენტი, რომ თუ დამნაშავე ცოტა შემძლებელა და ჯიბე სქელი აქვს, რაც უნდა ბოროტება ჩაიდინოს, შიში არაფრისა აქვს, სასჯელი ახლოსაც ვერ გაუვლის.

სოფ. მარელიდგანა გეწერენ: გუშინ ტელეგრაფით გაცნობეთ სოფ. მარელში ცეცხლის გაჩენის ამბავი და აღვითქვით წერილის მოწერა ამავე საგანზედ. აი კიდევ ზოგიერთი ცნობა: ცეცხლის დროს კინალამ იარსებრაელის ბავში დამწვარიყო, მაგრამ მშობლებ გადაერჩინათ. ბავშვებისათვის ცეცხლს ცოტა უფია, მაგრამ სიკვდილით არა უშავს-რა. სოფელი ოხრდებოდა და აქაური პოლიციის მოხელე კი სამიკიტროში თავის ურიადნიკებით და ჩაფრებით ღვინოს შექცევდა, ვიდრე თითონ მაზრის უფროსი არ მომავიდა.

«იურიდიკოსკე მობზრენიე» გვატყობინებს-რა და რა სთხოვეს ღენერალ-ადიუტანტს პოსიეტს, გზათა მინისტრს, ნავთის მწარმოებელთაგან ამორჩეულ პირთა.

აი ეს პუნქტები: 1) მალე გაკეთდეს ბათუმის ნავთ-საყუდარი და იმ გვარად მოიმართოს, რომ ნავთით ვაჭრობას ხელს უწყობდეს.

2) მაგონები გამრავლდეს და სურამის ქედზედ გადასვლ-გადმოსვლა გაადვილდეს.

3) ბაქოში და მრდაბათუმში ზღვის ნაპირებზედ რკინის გზის გაყვანა.

4) მოიმართოს კეროსინის პირ-დაპირ დაუსხმელად გადატანა სხვა-დასხვა რუსეთის ქალაქებში შავის ზღვით.

5) ნავთ-საყუდრებთან და რკინის გზებთან მდებარე ქალაქებში მიეცეს ადგილები იმ საზოგადოებათა, რომელნიც ნავთის ზიდვას დაიწყებენ, ნავთისათვის საჭირო შენობებისა და ვაგონების გასამართავად.

ამის გარდა ნავთის მწარმოებელთ უმოკრძოვად სთხოვეს მინისტრს, რომ ამ საქმის შესახებ მმართველობის ყოველი განკარგულება შეატყობინონ ნავთის მწარმოებელთა საზოგადო კრებას, რათა ამათი მისცენ საშუალება საერთო საქმის კარგად მოაზრებისა და მოლაპარაკებისათვის.

შეცდომის გასწორება: გუშინ-დღეს №-ში ჭელტონში სწერია: «სიმინდის რომს, მაგ., გლეხ-კაცი ხმა-

რობს საქონლისათვის,» — უნდა იყოს: «სიმინდის რომს» და სხე.

«დროების» კორექსიონი.

რამა. შედარებით რომ ავიღოთ, რაქის მაზრა სხვა მაზრებზედ ძლიერ შორსა სდევს მეთაისიდან. მეთაისი-დან რაქამდე სულ 40—50 ვერსი ითვლება, მაგრამ, ჩვენსა საუბედუროდ, არც ერთი მეთაისის მაზრა არ არის ისე მიყრუებული რომ გარკვესა. მოუვლელობამ იქამდინ მაღწეინა მას, რომ ლამის არის ბურიასთან ფეხი წასწოდოს ქურდობაში და ავაზაკობაში. სანამ რაქველები რაქველებად ითვლებოდენ და სხვებისაგან გადმონაღებ გარყენილობას არ გაედგა იმათში ფეხი, ეს ხალხი იყო ყოვლად უმანკო ზნისა; სანამ რაქველები გამოიცილიდენ თავის ზნეობას, მათი მხარე სულ სხვა სურათს წარმოადგენდა. მართი პატარა კურჭული, მიგდებული რიონის სათავეში და მოფენილი მის ნაყოფიერს ნაპირებზედ, ანკარა მდინარეებით, ნოყიერი შავი მიწით, შემკული პურით, სიმინდით, შიფინის ღვინითა, და დასახლებული ძლიერი მშობელის ხალხითა,—ეს მხარე სწორედ რომ მშვენიერს და სანატრელს კუთხეს წარმოადგენდა რამოდენიმე წლის წინად. მხლა, რაც რაქა ეს ჩვენი უწინდელი რაქა, ყველამ კარგათ შეიტყო ამ წლის «დროების» ფურცლებიდან. თუ რომ კაცი ხეირიანს ცხენს ვერ იყოლიებს, სავსე ბედელს დაუმტყრევს და ან გაუბურღავს ვერ შეინახავს, ფულის შენახვას შინ ვერ ენდობა, სახელმწიფო გზაზედ დღისით უშიშრად ვერ გაუვლია,—ეს ცხოვრება განაცხოვრებაა?! მასაც კი ძლიერ უნდა გაუფრთხილდეთ, რომ არაფის აწყენიოთ და მტრად ვინმე არ გადაიკიდოთ, თორემ სხვა რომ ვერაფერი დაგაკლოთ, ნავთი ხომ იაფია,—ღამე ცეცხლს წაგიკიდებთ (მართი გლეხი სოფ. იწაშიმ აგვისტოს გადასწვა ვილაცამ ამ ნაირათ. ეს გლეხი თვითონ ძლიერს გადაჩა ცოლ-შვილით ცოცხალი, სახლ-კარობა მთლად გადაწვა).—თით ნაქერალას მთაც რომ საყაჰლო მთად შეიქნა რაც ბალახი გაჩნდა ამ მთაზედ, მას აქეთ სულ უმოწყალოდ სცარცვენ მგზავრს ცხენოსნებს. მაჩერებ თუ არა გზაზედ ცხენს, გამოგობტება მოდარაჯე აზნაური ტყიდან და სტაცებს ყაჩაღურად ლაგამს ხელს: «ვინ ხარ შენ, რათ აბალახებ აქ ცხენსაო (სულ ტყუილს მოგიგონებს), მოიტა ერთი მანათი, თორემ ეს არის წაგართვი ნიეთებიო!» დედი შენის შვილი იქნები და არ დააკმაყოფილებ,—იმას მეტი მოთმენა აღარა აქვს: ან დაგჩხეს და ან იმდენს საბალახეს წაგართმევს, რომ ერთი-სამად ღირდეს; დაგხედება, რასაკვირველია, ტყეში, მეცრე წადი და სდიე ვინ იყო. თერთონ მე ვიყავი მოწამე, რა ნაირად სულ

ტყუილად ააგლიჯა მანათი ფული ერთს იმერელს, რომელსაც სიმინდის საპალნე მიჰქონდა რაქაში. საქმე იმაშია, რომ ამ მთას ორმოცი ევატრონება: წვერს იქით და წვერს აქეთ. სუყველანი ბაქს ითხოვენ და რამდენსაც მოითხოვენ, ეს იმათი ქეფია. მიმავალს მგზავრს ვერ გაურჩევი ვერც პატრონი და ვერც უბრალო მგლეჯელი აზნაურ-შვილი, და ამ ნაირად მას ყველანი სცარცვენ.

ძიღვე ნაქერალას მთაზედ ორიოდ სიტყვე: აქ წინათ ისეთი გზები იყო, რომ ხშირად მეთაისიდან წაყვანილი ავად-მყოფები ჭაეტონით მიჰყავდათ, ენლაკი ისეთია ეს გზები, რომ ცხენითაც გაგიჭირდებათ გავლა, თუ არ ჩამოხტებით და ისე სადავით არ გაატარებთ; მაშ რა მოუვა, თუ არ ფუქტდება! ნიაღვარი დიდი იცის ამ მთაზედ, გზას აქცევს და გამკეთებელი კი არაფინ არის.

ბუნებაც გასწერა საწყალ რაქაზედ: ეს სამი წელიწადია, რაც მოსავალი არ მოდის და შიმშილობამ იქამდინ მაღწეინა ხალხს, რომ ლამის სუყველანი აიყარნენ და მათხოვრებათ წაიღენ. ბევრმა ჭალარა გამოარეულმა კაცმა მოიტანა თავის ზურგით სიმინდი მეთაისიდან.

ხმა მლაღაღებელი რაქიდან.

რუსეთი

ტურგენივის დასაფლავება.

ზაზ. «რუსკი პურიერის», კორესპონდენტი, სხვათა შორის, შემდეგს იწერება ტურგენივის დასაფლავებაზე: «27 სექტემბერს დამარხეს ი. ს. ტურგენივი. მგონებთ, შეცდომა არ იქნება ვსთქვათ, რომ 40000 კაცამდე დაესწრო ამ პროცესიას, ე. ი. ეხლა ბევრად მომეტებული ხალხი იყო, ვიდრე ღოსტოვესკის დასაფლავებაზე. სწორედ თერთმეტი საათის 25 წამზე მატარებელი მოადგა სტაციას, სადაც მართო რიგის მიმცემთა და მთავრობის გარდა არაფინ იყო,—ამათს მეტს იქ არაფის უშვებდენ, არ ვიცით კი ვისი განკარგულებით. აქ არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ერთი ფრიად მოსაწონი მაგალითი: მეორე რეალური სასწავლებლის დირექტორმა გაანთავისუფლა სასწავლებლიდან შეგირდები და პროცესის გასაფლავებ გზაზე რიგზე დაამწყრივა. ამის მაგალითს მიჰყვა პეტერბურგის უნივერსიტეტი და ზოგი სხვა უმაღლესი სასწავლებლებიც. პროცესია დიდებულად, ჩინებულად და მშვენიერად მიდიოდა, მაგრამ ერთადგილას ბ. ბრესერი ჩაერია იქ მითომ წესის დასაცველად და ამით თვით იმან კი უფრო დაარღვია წესი. საქმე იმაშია, რომ სასაფლაოს სიფიწროვისგამო, თვითეული დეპუტაციისგან ექვს-ექვსი კაცი უნდა ყოფილიყო, მაგრამ დეპუტაციებში შევირიდნენ გარემე პირნი და დეპუტატების მაგიერად ისინი მიდიოდენ

სასაფლაოზე, ნამდვილი დეპუტატები კი უკან რჩებოდნენ რუსეთში იყო მივალწიეთ [სასაფლაოში] და რიგზე დაედქით. ჩვენს წინ გამოატარეს ბალდანინი, რომელსაც მოსდევდენ ერთ-მხრივ ძრავესკი და სტასულევიჩი და მეორე-მხრივ შეკეტოვი, ტაგანცევი და შამერო; ბალდანი-ზედ იდგა მშვენიერი დაფის გვირგვინი პეტერბურგის ნაფიცთ ვეჟილთა (აქ უნდა შევნიშნოთ, რომ არცერთი რამიზე-ში ჰქონდათ აკრძალული მოსკოვის და პეტერბურგის ნაფიცთ ვეჟილთა გვირგვინების ხელში დაქტრა); ეკლესიაში დაიწყო წირვა, რომელმაც დიდ-ხანს არ გასტანა, რადგანაც მღვდელმა სოკოლოვმა ვერ წარმოსთქვა სიტყვა, თუმცა სიაში კი აღნიშნული იყო ამ სიტყვის წარმოთქმა. შემდეგ კუბო გამოიტანეს ეკლესიიდან, ჩაუშვეს საფლაოში და დაიწყო სიტყვების წარმოთქმა. ქველზე უკეთესი სიტყვა წარმოსთქვა მურომცევა, რომელმაც ფრიად მგრძობიერი სიტყვებით გამოხატა განსვენებულის პიროვნება».

შემდეგ კორესპონდენტს ჩამოთვლილი აქვს გვირგვინები, რომელნიც მოერთვა განსვენებულს და განაგრძობს: «თუმცა გამოცხადებული იყო, რომ შემდეგი დეპუტაციები უნდა დასწრებოდენ მოსკოვიდან: Русская Мысль, Юридическое Обозрѣние, Московскій Листокъ, Новости Дня-სი და პეტერბურგიდან: Вѣстникъ Европы და Гражданинъ-ისა, მაგრამ არ დაესწრენ. აქ უნდა შევნიშნო, რომ Русская Мысль, Вѣстникъ Европы და Юридическое Обозрѣние, ვგონებ, მათგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო ვერ გამოგზავნეს დეპუტაციები და დანარჩენებმა კი თვითონ არ ისურვეს მათი გამოგზავნა».


«მე ღოსტოვესკის დასაფლავებასაც დავესწარ—ამბობს კორესპონდენტი—და დარწმუნებით შემიძლიან ვსთქვა, რომ ტურგენივის დამარხვა ისეთი ღიდებული რამ იყო, რომ ის ნახევრათაც ვერ შეედრება».

«რეის მოამბე» გვატყობინებს, რომ მთავრობას ნება მიუცია რეალურ გიმნაზიებიდან, სადაც სრულებით ძველს ენებს არ ასწავლიან, შეგირდები მიიღონ უნივერსიტეტებში.

უცხოეთი

— პლჭონისის შეურაცყოფის გამო ლაპარაკი და სჯა ჯერაც არ შეწყვეტილა მეროპაში. ინგლისის ერთი გაზეთი სწერს, რომ მსპანიამ უნდა იკმაროს დასაკმაყოფილებლად ბრევის და ჭერის ბოდიშის მოხდა და ის თანაგრძნობა, რომელიც მას მეროპამ გამოუჩინა ამ საქმეში; მაგრამ ურჩევნ კი მსპანიას ოფიციალურად გამოაცხადონ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბოდიშის





მოხდა. ბოლოს გაზეთი ამბობს: «მართალია, საფრანგეთს ბევრი მტერი ჰყავს მეროპაში, მაგრამ ამასთანავე მეგობრებიც ჰყავს და ინგლისიც ამ უკანასკნელთ რიცხვშია».

მრთი იქაურივე გაზეთი კმაყოფილებას აცხადებს საფრანგეთის სამხედრო მინისტრის, გენერალი ტიბოდენის, სამსახურიდან გამოსვლის გამო და ურჩევს მსპანიას ამით დაკმაყოფილდეს და მეტი აღარა მოითხოვოს-რა.

— მრთი ესპანური ლიბერალური გაზეთი სწერს შემდეგს: «ჩვენ არც ნემცები ვართ და არც ფრანკოზები, ჩვენ ვართ მსპანიელი. ჩვენ არ გვინდა და არც ვეძიებთ კავშირსა და არც მოუსახრებელთ სახიფათო შემთხვევათა. მაშინ, როდესაც ბერმანიაში უფლებს ცესარიზმი, მსპანიაში სრული დემოკრატიული მიმართულება ჰსუფევს. ბერმანია—ბერმანიის მოდემისაა და ჩვენ კი ლათინისა და ამისათვის ჩვენ სრულიად არა ვგეგვართ ერთმანეთსა. საფრანგეთი და მსპანია კი ერთად შეკავშირებულნი არიან ერთმანეთთან, როგორც ერთი მოდემისა, ერთი აზრის და ერთანიარის ლტოლვილების ხალხნი. საფრანგეთი მსპანიას თავის დას უწოდებს და სწუხს, რომ პარიეტლებმა შეურაცხვეს მსპანია; ბერმანია კი მსპანიას ხმარობს იარაღად თავის სარგებლობისათვის».

— ბერლინიდან მიუწერიათ შენის გაზეთებისთვის, რომ იმპერატორმა მილჩელმა გაუგზავნა ალფონს წერილი, რომელშიაც ამბობს: «ძალიან ვსწუხებარ იმ შეურაცხყოფის გამო, რომელიც თქვენ პარიეში მოგაყენეს; მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ის შეურაცხეთა მე უფრო შემიხება, ვიდრე თქვენ».

— ძონსტანტინეპოლიდან იწერებინ: «მდაბალი ხალხი ასაჯანყებლად მზად არის. მან გამოაცხადა, რომ თუ საფრანგეთის ფლოტი თავს დაესხა, ის დახოცს უცხოელებს და ააოხრებს მათს ქონებას. მდაბალი ხალხი შეურაცხეთას აყენებს თვით მანდარინებს და მაღალ წოდების პირთა».

— ინდო-ჩინეთიდან იწერებინ: «მდაბალი ხალხი ასაჯანყებლად მზად არის. მან გამოაცხადა, რომ თუ საფრანგეთის ფლოტი თავს დაესხა, ის დახოცს უცხოელებს და ააოხრებს მათს ქონებას. მდაბალი ხალხი შეურაცხეთას აყენებს თვით მანდარინებს და მაღალ წოდების პირთა».

— პარიეტიდან ერთი კორესპონდენტი იტალიაში ატყობინებს შემდეგს საყურადღებო ამბავს: ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ, რომ ლონდონიდან ლორდი-ლინსი მოვიდა და თან მოიტანა ინსტრუქციები საფრანგეთის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად შესახებ იმისა, რომ საფრანგეთიც მიემხროს კავშირს, რომ

მელმაც ბლადსტონის მეოხებით. შეერთა რუსეთი და ინგლისი. ეს ახალი კავშირი ინგლისის, საფრანგეთის და რუსეთისა, როგორც სჩანს კორესპონდენტის სიტყვებიდან, წინააღმდეგი იქმნება იმ კავშირისა, რომელიც არსებობს იტალიის, ბერმანიის და ავსტრიის შორის და გამოწვეულია მით, რომ აღარ მოხდეს ომიანობა, რომელიც მომავალს გაზაფხულს უნდა მომხდარიყო.

— ლონდონის ერთს გაზეთს ქ. სალონიკიდან ტელეგრაფით მიუღია ცნობები, საიდანაც სჩანს, რომ პორტა (ოსმალეთის მთავრობა) ყოველდღე ტყობილობს, რომ ავსტრიელების პროპაგანდა თან-და-თან ძლიერდება სალონიკში და მონასტერში. ოსმალეთის მოხელეებს დაუტუსაღებიათ რამდენიმე ავსტრიელი ემისარი (ჯაშუში). სამწუხაროდ, ამ დატუსაღებიდან არა გამოდისრაო, ამბობს ლონდონის გაზეთი, რადგანაც დატუსაღებული ემისარების ადგილს მაშინვე სხვები ჩნდებიან და ავსტრიის პროპაგანდა თავის კვალზე მიდის. იმავე ცნობებიდან სჩანს, რომ ოსმალეთის მთავრობას განზრახვა აქვს საომარ მდგომარეობაში მყოფად ალგვიაროს ის პროვინციები, სადაც ავსტრიის აგენტები მოდებულან.

სხვა-და-სხვა ამბავი.

ზანგი - რედაქტორები. ამ უმად ჩნდილეთ ამერიკის შტატებში 120 უფრანდ გაზეთი გამოდის თურმე, რომელთაც რედაქტორებად და თანამშრომლებად მხოლოდ ზანგები ჰყავთ. ერთი ამ გაზეთთაგანი ზანგის რედაქტორობით რცი წელიწადია, რაც სან ფრანცისკოში გამოდის.

სამაჰან კლო გაზეთი. ერთი ამ გვარში გაზეთი გამოდის ინგლისში და აზრად მხოლოდ ის აქვს, რომ «ახალ გაზეთს ქალ-უმანი» და ხან-დას-ხან მოწოდებებიც ურთმანეთს შეჰყაროს. აი რა დაწვრილებით გამოუჩნდა ერთს სარგლო ინგლისელს ამ გაზეთში თავისი პირობები: «ერთს უმაწვილს გაცს, რომელმაც, დიდი ხანი არ არის, რაც რჯახი მოიწყო, სურს შეირთოს გარდა გაზეთი ქალი, რომელსაც შეძლება 5000 გირვანქა სტრადინგზე ნაკლები არ უნდა ჰქონდეს. ქალი უნდა უხან-მრთელი იყოს და ავად-მყოფისათვის არა სუნთქავდეს; სიმაღლე 5 ფუტზე და 1-ს დიუმიზე ნაკლები არ უნდა ჰქონდეს — უბაშაკობთ; გასუქებული არ იყოს; მუხები წმინდა ჰქონდეს და გარგი გობილები; არ იყოს ამპრატავანი, მეტის-მეტად უბედი, ან მეტის-მეტად ჩუმი; უნდა გრძობდეს, რადგან დიდს შეურაცხეთას მაყუბუნ, მაგრამ შემხრალე გულისა იყოს; გარგი აქნება მართვარ არ უუჯრდეს და ყოველთვის სუფთად კი ეცვას; თავის ქმრის მეგობრებს უდიდობიანად ექცეოდეს, მაგრამ მთელს ქვეყანაზე თავის ქმრს არავინ ეწიოს; უნდა იცოდეს სად უმელები დამალვა,

რომ ქმრს შეეძლოს თავის გულის გადაშლა; რჯახი მომწინებობით და სოგვით მიჰყავდეს, ბუნდებუბაში თავს არ წავიდეს და ნაკლებულობა მოწინააღმდეგობით აიტანოს».

საკერავი მაშინის ახალი დანიშნულება. ნემცის სტუდენტებში ძალიან სშირია რედ-უბრალოზედ დუელები და მხელად ნასავთ ნემცის სტუდენტს, რომ სასუ სმლით დასერილი არა ჰქონდეს. ამას წინადა გერმანიის მეგვიადრე რომ ჰქონდეს ჰქალში მისუფიყო, ერთი სტუდენტი დაუნახა, რომელსაც სასუ მეტად ბევრჯანა ჰქონდა დაწრილი. მეგვიადრე მიჭრუნებუფიყო თავის კქამისკენ და ეთქვა: «მგონი, სშირად შეგხვდებათ ამისთანა სასუების კერვა?» — «სშირად, ძალიან სშირად, თქვენს უმადესობაზე! მავ საგნისათვის საკერავი მაშინაც კი შევიბინეთ».

ხან-დის-ხან იმპერატორად ყოფნაც კი სამძიმო ყოფილა. ჩინეთის იმპერატორი, სუთას ძალიანის ხალხის მოძახუბი, ამ უმად თურმე თერთმეტის წლისაა. ხალხი მას დემურად სახავს და პირის-პირ შეხვდას კერავინ უბედას, დას და მამა ყოველ თვე ჰხუდავენ მას, მაგრამ ჯერ მუსემოდრეკით უნდა თავიანთ სცენ. რვა ხოჯა კმისხურება მას, მაგრამ დესასწაულში მოსამსხურეთა რიცხვი უმადვლია. იმპერატორი მუდამ მარტა და ხოჯებს ნება აქვთ მიუხსლოდენ მხოლოდ მაშინ, რაც იმპერატორი ანიშნებს, რომ საჭმელი ნებას. ყოველ დღე სწავლობს ჩინურსა და მანჯურულს ენას, თითოეს საათ-ნახევარს ანდომებს. ორის საათის განმავლობაში ცხენზე ვარჯიშობს და შეილდისრის ხმარებას სწავლობს. იმპერატორი თავის წინაშართა პალატებში სცხვარობს და წვეს ხოლმე უზარ-მზარ საწოდებულ, რომელიც უწინდელ იმპერატორებს დავნად ჰქონიათ. ოთხს, სუთს და ექვსს საათზედ მინისტრები მოდებიან თავისისსარცემლად და იმპერატორი მათ მიიღებს ხოლმე თვის ტანტრზედ მჯდომარე. მართლაც რომ არაფერს დროს გატარებაში ყოფილას ეს ბუდერული იმპერატორი.

ზორბა ხალხი. ნიუიორკში ყოფილას სადილი სქელ ადამიანთა საზოგადოებისაგან გამართულია. ორმოცდაათს სქელ ადამიანს მოყვარათ თავი და ორს საათის განმავლობაში დაეღათ 12 პატარა ბიჩკა, ამერიკულის კოდკის, 8 პატარა ბიჩკა ლოკუინებისა, სამასი ვარია, ერთი ტომარა კართოფლი, სამასი გირვანქა თეუნი, 150 ზღვის გობო და 409 ტარო სიმინდი. ამ საზოგადოების პრეზიდენტის წინა 250 გირვანქა ყოფილას; სადილს უგან ყველანი აწინილან და გვარინათაც უმეტნიათ; პრეზიდენტი 301 გირვანქა გამოსულა, — 51 გირვანქა სასმელ-სარკმელი შეტრება ორს საათში.

მოსწრებული სიტყვა. ერთი აქტიონი თურმე რომელიცაც პიესაში ყრუ მონუტებულის რაფს თამაშობდა.

— დეს როგორ ვითარდება? — ეკითხნა მას ანტიკლემენტი. — დიდის სინამდვილით; თქვენ სუფლიონის წარსურსულებუფიც კი მოკეს-მოდათ და ბავრი აურ-დაურით, სწორედ ნამდვილი ყრუ წარმოდგინეთ!

ისტორიული დოკუმენტი\*)

დესტირისა ჩვენისა მსაჯულთამიერ განსჯილსა განჩინებასა ამას ვამტკიცებ. ნოემბერს. ა. წელსა ჩემდ. კათალიკონი.

განჩინება მისის უწმინდესობის დესტირისა მიერ.

დიდმელნი ხუცები აბრამ და პავლე ჰმფოთედენ და იცილებოდენ დიდის გარეშეთა სამლოცველოთა ეკლესიათა ზედა. რომელ არს პირველი წმიდისა სამებისა, მეორე ყოველად წმიდისა დეთის-მომბელისა, მესამე წმიდისა დიდის მოწამისა ბიორგისა, მეოთხე, თეთრი ეკლესია წმიდისა ბიორგისავე. და მეხუთე, დიგორის ეკლესია მოწორებით.

ძვალად პირძოლოდენ, ერთმანეთისაგან სამრევლოთა შეცილებასა, და საეკლესიოს შემოსავლიდამ მეტნაკლებობასა, და არა თანასწორებით მიღებასა, და წელთა რაოდენთამე ყოფილიყო ამის გამო ორთავე შორის ბრძოლა, შფოთი, გულ-ძერიობა. ჩხუბი, და ამბოხი: მოვიდენ ორნივე მისის უწმინდესობის დესტირისა შინა, და ილაპარაკეს, და სარჩელი თვისი უკვე თითოეულად მოგვიტარეს, და გავგანინჯეს, და ჩვენ გამოძიებელთა სარჩელისა მათისათა, ვესტანთ რა ორკერძოვე მეტნაკლებობა. სიმართლე და სიდრკუე, შევრისხეთ ორთავე. ვამხილეთ, ვსწვართეთ, და განვმართეთ საქმე მათი, და აღვიღეთ ყოველი უმჯავრო საცილობელი წერილი მათი. და დავაცხრეთ შფოთიცა მათი. და შემდგომად ბრძანებითა მისის უწმინდესობისათა, ესრეთ განვაგეთ მათთვის, და განვაჩინეთ:

ა. სამრევლო როგორც პირველად ჰქონიათ გაყოფილი, ისევ ისე საკუთრად ეკიროსთ. და ერთი მეორის სამრევლოში ნუ შევა და ნურცარას იმღედელ-მოქმედებს. აღსარებას გარდა, თვინიერ ერთმანეთის დაკითხვისა. და თუ ეული კაცი მოვიდეს საითმე. რომლისაც სამრევლოში დადგეს, ხუცობითაც იმ მრევლის მღვდელმა უხუცოს, და რომელიც ამ კანონს გარდასდებდა, და ერთმანეთს შეეცი-

\*) ეს ისტორიული დოკუმენტი თრიად საყურადღებოა საქართველოში სამღვდლოების წყობილების განსაზღვრად მეოთხე-მეხუთე საუკუნეში. გაცს გასტრებს ამ განჩინების სიმართლე, უბრალოდ აზრის წარმოდგენა და ენის მდიდრულად მიხვარა-მხვარა, ეტყობა «დივანტორისა», რომელიც მაშინ სინოდის განტორის მაგეორებას ჩადილდა, ეს მდარეფსა თვისუბანი არავისთვის უნდაკრძინა და თვისთან საფუფუნო ჩაუტანას.





ლება, იგი კანონითა მამათათა დაის-  
ჯება ჩვენგან:

ბ. დილომში რომ ეკლესია აქვს  
წმინდის მარინასი, რიგით ჰსწირვე-  
დენ. ერთს კვირას ერთი სწირვედეს,  
და მეორე მოეხმარებოდეს, და მეო-  
რეს კვირას მეორე სწირვედეს.  
თუ მარტოკა აწირვინოს ვინმე საწი-  
რავიც მარტოს მიეცემა, მეორე ვერ  
შეეცილება, და თუ საერთოთ მოუ-  
ფედესთ საწირავი, შუა უნდა გაიყონ  
თანასწორად ვითარცა ძმათ. და თუ  
ტაბლა, ან ზვარა, ან მხარ-ტყავი, ან  
კურატი, ან პური, ან ღვინო, და ან  
სხვა ამ გვარი ნიეთი რამ მოუფედესთ  
რამე, ესენიც შუა უნდა გაიყონ ორ-  
თავე. რომლისაც ხუცის რიგის კვი-  
რამი შეხედეს რომელსამე ხუცესსა:

ბ. დიდგორის ეკლესიაში, ერთს  
წელიწადს ერთი ხუცესი წაიღოდეს,  
და მეორეს წელიწადს მეორე. და  
რაც სამლოცველო და შესაწირავი  
მიუფედეს. ის უკლებრივ მარტო იმ  
ხუცისა იყოს. მეორე ვერ შეეცილოს:  
და თაფთაის სამწყსოს კი თითონ  
დაამწყალობდნენ ყოველ წლივ:

დ. მონი იგი ეკლესიანი. ერთი  
ყოველად წმიდისა ღვთის-მშობელისა,  
რომელიცა არს სასაფლაო პბრამ  
ხუცის მამა პაპათა, და კვალად ეკ-  
ლესია თეთრი წმიდისა ზიორგისა. ეს  
ორი ეკლესია მიგვიცემია თავის შე-  
მოსავლით საკუთრად აბრამისათვის,  
რომ მეორე ხუცესი ვერ შეეცილოს:  
მგრეთვე ეკლესია წმიდისა დიდისა  
მოწაჰისა ზიორგისა, სასაფლაო პავ-  
ლე მღვდლის მამა პაპათა, და კვა-  
ლად ეკლესია წმიდისა სამებისა. ეს  
ორი ეკლესია მიგვიცემის პავ-  
ლესთვის საკუთრად და ყოველით  
შემოსავლით შეუცილებელად ვის-  
განმე. და რაც შესაწირავი, ან სამ-  
ლოცველო, ან მხარ-ტყავი, ან კუ-  
რატი, ან ზვარა, ან პური, ან ღვი-  
ნო და ან სხვა ამ გვარი ნიეთი რამ  
მიუფედესთ იმ დღეს ყველა საკუთარი  
იყოს მისი, მეორე ვერ შეეცილება,  
და თუ შანა, ან ვეცხლი რამ, ან სამო-  
სელი, ან ხელსახარცი, და ან სანთელ-  
საკმელი მიუფედესთ, წამოიღონ, და  
დიღმის წმიდის მარინას ეკლესიას  
მოახმარონ. სადაც დღე ყოველ სწირ-  
ვენ, და ილოცვენ:

მ. მსეცა უწყებულ იყავნ ორთავე  
მღვდელთად, უკეთუ შეხედეს მღვდელ-  
სა, რომელსამე წარმოსვლა ქალაქად,  
ანუ სოფლად. ანუ ეკეთოს სნეუ-  
ლება რაიმე. აუწყოს მეორესა მღვ-  
დელსა, რათა უძღოდეს სამრევლო-  
სა მისსა, ვიდრე მისელადმდე მისსა,  
რაივეცა დასპირდესთ, ან წმიდა ზი-  
არება, ან აღსარება, ან ჯვარის დაწე-  
რა, ან ყრმის მონათვლა, და ან სახ-  
ლის განათვლა. და ამათ ძლით უკე-  
თუ საწირავი მისცეს ვინმე, ეს საკუთ-  
რად მიიღოს მან მღვდელმან. და თუ  
სხვა რამ ერგოს, ესე წინაშე თვალ-  
უხევისა მსაჯულისა, შუაზედ გაუ-  
ყოს მოსასვლელსა სამრევლოსა მის  
მღვდელსა: და ამიერიდგან ძმებრითა  
სიყვარულითა, უშუალოდ დასცხოვ-

რებდენ ურთი ერთ არს. ვითარცა  
ჰმვენისთ მღვდელთა ძრისტესითა:

მ. და რომელიც დღეის იქით, ამ  
ჩვენგან განჩინებულს, და განწესე-  
ბულს არ დასჯერდება, და არ დაე-  
მორჩილება, და კვალად მეშუათედ  
აღმოჩნდება, იგი ჩვენგან ბრძანებითა  
მისის უუწმინდესობისათა სულიერის  
მსჯავრით, შეუნდობელად. განიკა-  
ნონება, საკანონო მიეკიდება, და  
სამრევლოსაგანცა თვისისა, უნაწი-  
ლოდ დაძთება: ნოემბერს პ. წელ-  
სა, ჩლუდ:

მღაზღა მიტროპოლიტი  
სკეტის ცხოვლის, და იმის სიმალდეს  
კარის დეკანოზი ნიკოლოზს.  
უუღიარსი მიწგნობარსი არსიმანდრიტი

### განსხალგანი

13 ოქტომბერს ამ 1883 წელს  
გარედამ მოსიარულე ავად-მყოფების  
სამკურნალოში, რომელიც დაარსე-  
ბულია ტუილისის მოქალაქეთაგან  
4 აპრილის სახსენებლად, იქნება პა-  
რაკლისი ამ სამკურნალოს წლის თა-  
ვის დღესასწაულობის გამო; ამისათ-  
ვის ამ სამკურნალოს დირექციას აქვს  
პატივი აუწყოს ეს იმ პირთა, რომელ-  
ნიც ისურვებენ პატივისცემას და მობ-  
ძანდებიან ამ დღესასწაულზედ.

სამკურნალოს დირექტორი ლისიცივი.  
(1—1)

ნერსესიანის სომხური სასულიერო  
სემინარიის მზრუნველთა რჩე-  
ვაში ოქტომბრის 12-ს, სადამოს  
7-ს საათზედ, იქნება ვაჭრობა  
(ტორგი) ვაჭრობის განუმეორებ-  
ლად (უპერეტორეოდ) იჯარით  
გაცემისა ძველი სემინარიის ქვედა  
სართულისა, რომელშიაც გამარ-  
თულია 32 მაღაზია. პირობათა  
გასინჯვა შეიძლება მზრუნველო-  
ბის განცელიარიაში ყოველ დღე.  
გარდა კვირისა და უქმე დღეებისა,  
10 საათიდგან, ვიდრე 12 საათამ-  
დე. (3—2)

### სასტუმრო (გოსტინიცა)

### „იხალია“

ნიკოლაევის ქუჩაზე, მორონცოვის  
ძეგლის (პამიატნიკის) მახლობლად  
ჩემს საკუთარს სახლში.

ნომრები მშვენიერად მორთულია  
ელექტრიულის დასარეკის ზარით და  
მარდი მოსამსახურეებით. სასტუმროსა  
აქვს ბუფეტი. შასი ნომრებისა, საქ-  
მელებისა კარტით და სასმელებისა  
ნაკლებია.

სასტუმროს პატრონი ბ. სარქისოვი.  
(30—12)

კერძო საქმეების ვეჟილი პ. მ.  
აღბედინსკი

გადავიდა სოლოლაკის ქუჩაზედ,  
სპანდარიანცის სახლში, № 42, სა-  
ადგილ-მამულო ბანკის პირ-და-პირ.  
(10—6)

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ს

**მარიკული პაკაუბი და  
ალიასირი**

პილის-ტაივილის წაგალი

**ინოლიც მაევსკისა**

ვარშავაში

(ვარშავის ქიმიური ლაბორატორია)

ამ კანალებისათვის ბევრი მედლები  
და ქებას მიღებული გამოჩენილ ზირთს  
და ავტორიტეტებისაგან.

შასი: თითო ყუთი 1 მანკე 25 კ.  
და 2 მ. 50 კ. (3—1)

საკლობუსო კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად-ერთი  
საჯენტო—ინგლისის მალაზია. იქვე აუარებული სხვა-და-სხვა კარის კალმები,  
ყოველის „სხელსათვის“—25% ათვად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი,  
კანკურტები, რეკულები, ღაქი, კანანდაში, შენაღი, კალმები, ბუშაყნიკები, ზოგო-  
სიგარები, ალბომები, რამკები, მკარატლები, სამართებლები, სახთელი, საღესი,  
ცანაშები ჭურჭლების საწმედად (ბორაგისი), თეთრუფისათვის, ჰატარა ხაღესი,  
იატავისათვის კლიონკები, ტანტები, სარძებლები, სარკები, სავარცხლები, ბუშმე-  
ნნი, ზარები, ბინოკლები რუფეტები, ტერაზსები, მზის-სათები, კომპასები,  
ტერმომეტრები, მეწყები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, ჰომოჩი, ქამრები,  
სარტლები. საყუფური, ჰრობკები, სარობკები, გრანები, ფილტრები, შროტკები,  
თავის. ტანისამოსის, ცხენის და ჰატენტისა მკანტოშები, გრანები, საქვიმა  
ქაღალდი კატერ-გლანუტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშკი—20 კ. (100—93)

**ინგლისის მალაზია**  
Maison de confiance

შეღარეთ ჩვენი ჩაი	მოსკოვის ჩაის
1 მ. 10 კ.	1 მ. 40 კ.
— — 1—20	— — 1—60
— — 1—40	— — 1—80
— — 1—60	— — 2—
— — 1—80	— — 2—50
საუგუთესა 2—	— — 3—

იქვე ისეილება სხვა საქანელიც: თო-  
ფები, რეკოლეკები, გრანოტები, ჭურ-  
ჭები, ჩაიდნები, გასადებები, ღანები,  
გოგზები, ტანტები, კალმები, ქაღალდი,  
შოკოლადი, გაგა, კანფეტები, მურაბე-  
ბი, მაგნუზია, უნაგირები, კლეონგა,  
წინდები—კანის და ქაღის, ხელ-სახო-  
ცები, მაკანტოშინ კალენგარი—სულ  
ვეკლავური 25-დან 50 ჰრონტით უფ-  
რო ათვად, ვიდრე სხვა რომელსამე მ-  
ღაზიაში.

ვინც ქაღაქს გარედამ 25 მანეთადმ  
1,000 მანეთადმ საქანელს გამოი-  
წერს, გასაგზავნს არაფერს არ ის-  
დის. (100—45)

**რკინის გზა**

თბილისიდან ქუთაისისკენ მიდის  
8 საათზედ და 31 წამ. დილით.

თბილისიდან ხაშურამდინ  
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდან ბაქოსკენ  
11 საათზედ და 11 წამ. ღამისა.

ბაქოდგან თბილისისკენ  
10 საათზედ და 23 წამ. დილისა.

ქუთაისიდან თბილისისკენ  
12 საათ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდან ბათუმისა და  
ფოთისკენ  
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდან თბილისისკენ  
8 საათ. დილისა.

ფოთიდან თბილისისკენ  
8 საათ. და 45 წამ. დილისა.

ფოთიდან ბათუმიდან მომავალი  
თბილისში შემოდის  
10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.

ბაქოდამ მომავალი შემოდის  
თბილისში  
7 საათ. და 49 წამ. დილისა.